სწავლების მეთოდიკა
Methodic of Teaching

აუდიოვიზუალური ტექსტების ინტეგრირება გერმანული ენის სწავლების პროცესში (ლინგვოდიდაქტიკური ასპექტი)

ნინო შარაშენიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: ninisharashenidze@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.27
SJIF 2026: 8.679

უცხო ენის შესწავლის გლობალურ მიზანს თავისუფალი კომუნიკაცია წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მიზანშეწონილია ვიდეოსავარჯიშოების გამოყენება, რომლებიც ააქტიურებენ ინფორმაციის აღქმის სხვადასხვა არხს, კერძოდ აუდიო, ვიზუალური და კინესიკური არხებს.

დიალოგში ჟესტი ან მიმიკა არც თუ იშვიათად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ვერბალურად გამოხატული აზრი. გარდა ამისა ვიდეოსიუჟეტის ვიზუალური მხარე ძალიან დიდ როლს თამაშობს უცხო ენის გაკვეთილის/ ლექციის სტრუქტურულ აგებაში და სწავლის პროცესს გაცილებით ეფექტურსა და საინტერესოს ხდის. ეს განსაკუთრებით ეხება Z და Alpha თაობების წარმომადგენლებს, რომელთა პიროვნული ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშრდება ბოლო წლებში განვითარებულ ტექნიკურ პროგრესს.

ვიდეოსავარჯიშოების ინტეგრაცია გერმანული ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არ არის უბრალოდ თვალსაჩინო საშუალება, არამედ მძლავრი დიდაქტიკური რესურსია, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციური კომპეტენციის ენობრივი, სოციოკულტურული და სტრატეგიული კომპონენტების კომპლექსურ განვითარებას.

სწავლების მეთოდიკის თალსაზრისით ვიდეოსავარჯიშოების გამოყენება მნიშვნელოვანია, ვინაიდან აუდირების მეშვეობით სტუდენტები იოლად ეჩვევიან გერმანული ენის ტემპს, ტიპურ ინტონაციას, წარმოთქმას და სასაუბრო ენის სხვადასხვა თავისებურებას. ვიდეოსავარჯიშოები ახდენენ იმის დემონსტრირებას, თუ რა ლექსიკა, გერმანული ენის კლიშეები, მოდალური ნაწილაკები და მისთ. მიღებულია გაცნობისას, მუშაობისას, მაღაზიაში, თხოვნის ან საკუთარი შეხედულების გამოხატვის დროს. ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისება უნდა ხდებოდეს არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში, რაც პრინციპულია უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლისთვის. სტატიაში მოყვანილია კონკრეტული სავარჯიშოების მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობს საინტერესო და ეფექტურ სასწავლო პროცესს და ასევე ვიდეოკლიპები, რომლებიც სტუდენტებმა თავად შექმნეს გერმანულ ენაზე.

საკვანძო სიტყვები: აუდიოვიზუალური ტექსტები, გერმანული ენის სწავლება, ლინგვოდიდაქტიკური ასპექტი

დღესდღეობით, ისე როგორც არასდროს, აუცილებელია უცხო ენის შესწავლა, რასაც ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო მოითხოვს. ამ მიზნის მისაღწევად გვეხმარება უცხო ენის დიდაქტიკა, რომლის გლობალურ მიზანს კომუნიკაციის სწავლება წარმოადგენს: „Das Globalziel einer Fremdsprachendidaktik ist die Ausbildung von kommunikativer Kompetenz“ [Benő, 2011 : 79]. სამწუხაროდ ხშირად ვაწყდებით იმ ფაქტს, რომ სტუდენტი, რომელიც ბეჯითად სწავლობს გერმანული ენის საკმაოდ რთულ გრამატიკულ წესებს და მრავალრიცხოვან ლექსიკურ ერთეულებს, მაინც ვერ ახერხებს გერმანულ ენაზე აზრის თავისუფლად ჩამოყალიბებას. მხოლოდ სიტყვების დაზეპირება, იქნება ეს არსებითი სახელი, მართვიანი ზმნა თუ სხვა რამ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საჭიროებისამებრ ააწყო სტრუქტურულად და ლექსიკურად სწორად ჩამოყალიბებული წინადადება. ეს ვითარება ძევს ხშირ შემთხვევაში იმაში, რომ სტუდენტს საუბრის ერთგვარი კომპლექსი აქვს, ანუ შიში, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი გაუმართავი და შეცდომებით აღსავსე შეიძლება იქნეს. ამ შიშის დასაძლევად ზოგიერთი მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეს იმისკენ, რომ შეეცადოს ისაუბროს თავისუფლად, თუნდაც გრამატიკული წესების დაცვის გარეშე, რადგან მთავარია, რომ ილოკუციური მიზანი იქნეს მიღწეული. ასეთი მიდგომის შედეგად სტუდენტი ხშირად ეჩვევა იმას, რომ კომუნიკანტი მაინც გებულობს მის ნათქვამს და ენის შემსწავლელი აღარ ცდილობს გრამატიკული კონსტრუქციების დახვეწას, ვინაიდან ეს მისგან ზედმეტ ძალისხმევას მოითხოვს. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მშრალი წესების დაზუთხვა და გაკვეთილის მონოტონური მსვლელობა ასევე არ უწყობს ხელს უცხო ენის წარმატების დაუფლებას. და სწორედ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის უპრიანი იქნება გამოვიყენოთ იმ შესაძლებლობების პალიტრა, რომელსაც დღევანდელი ტექნიკა გვთავაზობს. როგორც ფრედერიკ ვესტერი აღნიშნავს, დღეს არსებობს უამრავი საშუალება იმისათვის, რომ სწავლის პროცესში აღქმის სხვადასხვა არხი ჩავრთოთ: „Die Möglichkeiten, im Unterricht mehrere Eingangskanäle anzusprechen, sind heute Legion“ [Vester, 1975 : 152]. ეს შეიძლება იქნეს აუდიო, ვიზუალური, კინესიკური ან აუდიოვიზუალური არხი, რომელიც სამივე ზემოჩამოთვლილის სინთეზს წარმოადგენს. გაკვეთილზე ვიდეოდავალებების გამოყენება უცხო ენის შესავლის დროს იმდენად არის რეკომენდირებული, რამდენადაც ის გვაძევს საშუალებას გავააქტიუროთ აუდიოვიზუალური აღქმა და ასევე დავაკვირდეთ იმ არავერბალურ ელემენტებს, რომლებსაც იყენებენ გერმანელები საუბრის დროს. დიალოგში ჟესტი ან მიმიკა არც თუ იშვიათად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ვერბალურად გამოხატული აზრი. გარდა ამისა ვიდეოსიუჟეტის ვიზუალური მხარე ძალიან დიდ როლს თამაშობს უცხო ენის გაკვეთილის/ლექციის სტრუქტურულ აგებაში და სწავლის პროცესს გაცილებით ეფექტურსა და საინტერესოს ხდის. ეს განსაკუთრებით ეხება Z და Alpha თაობების წარმომადგენლებს[1], რომელთა პიროვნული ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება ბოლო წლებში განვითრებულ ტექნიკურ პროგრესს.

[1] სტატიაში გამოყენებულია მარკ მაკკრინდლის [McCrindle, 2009] მიერ შემოთავაზაბული თაობათა კლასიფიკაცია, სადაც დროითი საზღვრები განიხილება როგორც საორიენტაციო და არა როგორც დაყოფის უნივერსალური სამეცნიერო კრიტერიუმები.

ვიდეოსავარჯიშოების ინტეგრაცია გერმანული ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არაა უბრალოდ თვალსაჩინო საშუალება, არამედ არის კომპლექსური დიდაქტიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციური კომპეტენციის ენობრივი, სოციოკულტურული და სტრატეგიული კომპონენტების კომპლექსურ განვითარებას.

დიდაქტიკური თალსაზრისით ვიდეოსავარჯიშოების გამოყენება მნიშვნელოვანია, ვინაიდან აუდირების (Hörverstehen) მეშვეობით სტუდენტები იოლად ეჩვევიან გერმანული ენის ტემპს, ენის მტარებლის სხვადასხვა ინტონაციას, წარმოთქმას და სასაუბრო ენის თავისებურებას. ეს ბოლო პუნქტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც საზღრები დაკეტილი იყო და უცხო ქვეყანაში წასვლა იშვიათი მოვლენა იყო, გერმანელი კოლეგები აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი სტუდენტები, მართალია, ძალიან კარგად ფლობენ სალიტერატურო გერმანულს, თუმცა სტილისტური თვალსაზრისით ეს უფრო გოეთეს და შილერის დროინდელ ენას ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ყოველდღიურ საუბარს. ამდენად ვიდეოსავარჯიშოები ახდენენ იმის დემონსტრირებას, თუ რა ლექსიკა ან გერმანული ენის კლიშეებია ტიპური გაცნობისას, მუშაობისას, მაღაზიაში, თხოვნის ან საკუთარი შეხედულების გამოხატვის დროს. ახალი ლექსიკური ერთეულები ისწავლება არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში, რაც პრინციპულია უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლისთვის.

აუდიოვიზუალური სავარჯიშოები აჩვენებს სტუდენტებს გერმანული ენისთვის დამახასიათებელი დიალოგების მოდელებს, თავაზიანი საუბრის შაბლონურ ფორმულებს და ა.შ. ვიდეოს დახმარებით სტუდენტები ეცნობიან ქვეყანათმცოდნეობის სხვადასხვა ასპექტებს: გერმანულენოვან კულტურას, ტრადიციებს, ნორმებსა და ყოველდღიური კომუნიკაციის თავისებურებებს, რომლებიც გავრცელებულია გერმანიში, ავსტრიასა თუ შვეიცარიაში.

ვიდეოსიუჟეტი ავითარებს სტუდენტებში უნარ-ჩვევებს, გაიგონ ცოცხალი მეტყველება არასრული ენობრივი კომპეტენციის პირობებშიც კი. ვიზუალური მინიშნებები, მიმიკა და ვიდეოში წარმოდგენილი გარემო ეხმარება ენის შემსწავლელებს გაიგონ ნათქვამის შინაარსი მაშნაც, როცა დიალოგში ბევრი უცხო ლექსიკური ერთეულია. ავთენტური ვიდეომასალები, ფილმები, რეპორტაჟები ან ინტერვიუ ანიჭებენ სასწავლო პროცესს უფრო მიმზიდველ ფორმას. უცხო ენით დაინტერესებული პირები სწავლობენ ვიდეომასალის შინაარსის გაანალიზებას, ვიდეოსიუჟეტის მოქმედი გმირების ილოკუციის განსაზღვრას და საკუთარი აზრის ფორმულირებას გერმანულ ენაზე.

ვიდეომასალების დიდაქტიკური გამოყენება ხელს უწყობს უცხო ენის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას, ვინაიდან უზრუნველყოფს აუდიური და ვიზუალური აღქმის ინტეგრაციას, ვერბალური ან არავერბალური საკომუნუკაციო საშუალებების ინტერპრეტაციას, ლექსიკური მარაგის და სოციოკულტურული კომპეტენციის გაუმჯობესებას.

ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექსტის სიგრძე, მისი სტრუქტურა და მეტყველების სისწრაფე უნდა ეყრდნობოდეს სტუდენტთა წინარე ცოდნას. დიდაქტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით ეფექტურია მოკლე ვიდეოები, მაგალითად, თავშესაქცევი სკეტჩები, გონებამახვილი სარეკლამო რგოლები, ცალკეული სცენები მხატვრული ფილმებიდან და ა. შ.

სავარჯიშოების შემდეგი მაგალითები გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ გერმანულ ენას B2 ან C1 დონეზე:

დავალება 1: მასწავლებელი აჩვენებს აუდიტორიას მოკლე სიუჟეტის დასაწყისს. საილუსტრაციოდ მოყვანილია სკეტჩი [7]. სტუდენტებმა უნდა იმსჯელონ გერმანულად იმის თაობაზე, თუ რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ამ ეპიზოდს, ხოლო შემდგომ ხდება ორიგინალური სიუჟეტის დემონსტრირება, რათა სტუდენტებმა მას თავისი ვარაუდები შეადარონ. ამ სავარჯიშოს შესრულებისას ისწავლება ვარაუდების გამოხატვა რთული გრამატიკული კონსტრუქციების (დამოკიდებული წინადადებების, ინფინიტური კონსტრუქციების, მოდალური ზმნების და ა.შ.) გამოყენებით და საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებული დასაბუთება.

დავალება 2 (ჯგუფური სამუშაო): სტუდენტები უყურებენ მთლიან ვიდეოსიუჟეტს გახმოვანების გარეშე და თითოეული ჯგუფი ადგენს შესაძლო დიალოგს, რომელსაც შემდგომ ორიგინალს ადარებენ [6]. ეს სავარჯიშო ასევე ეხმარება გერმანული ენის შემსწავლელ პირებს უკეთ გაიგონ სხეულის არავერბალური სიგნალები და შექმნან დამოუკიდებელი ტექსტი გერმანულ ენაზე ვიზუალური კონტექსტის გათვალისწინებით.

დავალება 3 (ჯგუფური სამუშაო): მასწავლებელი აჩვენებს სტუდენტებს მოკლე სცენას მხატვრული ფილმიდან [5]. თითო სტუდენტი ირჩევს ერთ პერსონაჟს და ცდილობს დაიმახსოვროს მისი რეპლიკები, ხოლო შემდგომ სტუდენტები დგამენ ამ ცსენას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფრაგმენტი დავიწყებულია, სტუდენტებს შეუძლიათ თავისი ინტერპრეტაციები ჩასვან. ამ სავარჯიშოს შესრულებისას სტუდენტები ბაძავენ ენის მტარებლების წარმოთქმასა და ინტონაციას, სწავლობენ გერმანული ენისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებს, განსაკუთრებით კი შორისდებულებისა თუ მოდალური ნაწილაკების გამოყენებას, რაც უცხოელთათვის, როგორც წესი, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს.

დავალება 4: აუდიტორია უსმენს დიალოგს ვიდეოს გარეშე [8] და აღწერს გერმანულად იმას, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს თითოეული მოქმედი გმირი. ამის შემდეგ სტუდენტები ეცნობიან მთლიან ვიდეოს, რათა შეამოწმონ თავისი ვარაუდები. ამ სავარჯიშოს შესრულების შედეგად სტუდენტები სწავლობენ გერმანულენოვანი ტექსტის გაგებას ვიზუალური მოქმედების აღქმის გარეშე, ავითარებენ ყურადღებასა და ასოციაციურ აზროვნებას, ცდილობენ გაიგონ არა მარტო მოსმენილის შინაარსი, არამედ მისი ემოციური შეფერილობა, რისი ვერიფიკაციაც ორიგინალური ვიდეოს ნახვის შემდგომ ხდება.

უნდა ითქვას, რომ სტუდენტებს იმდენად მოსწონთ ვიდეოდავალებები, რომ ისინი არა მარტო სასწავლო პროცესის დროს არსულებენ აუდიოვიზუალური სახის სავარჯიშოებს, არამედ თავადაც სიამოვნებით მონაწილეობენ გერმანულენოვანი ვიდეოების გადაღებაში ლექციებისგან თავისუფალ დროს. წარმოდგენილი კლიპები [4], [9], [10], [11] გადაღებულია ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ.

უცხო ენის შესწავლის დროს აუდიოვიზუალური სავარჯიშების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ თალსაჩინოებისთის, არამედ კომპლექსური დიდაქტიკური რესურსის სახით, რაც ენის შესწავლას გაცილებით საინტერესოს და ეფექტურს ხდის.

ლიტერატურა:

1. **Benő, E.** – Kreatives Schreiben im DaF-Unterricht. Schreiben zu und nach literarischen Texten. - In: Neue Didaktik (2011) 1, S. 79-96 - URN: urn:nbn:de:0111-opus-74778 - DOI: 10.25656/01:7477
2. **McCrindle, M.** Research – Generation Alpha: Mark McCrindle Q&A. 2009. https://mccrindle.com.au/article/topic/generation-alpha/generation-alpha-mark-mccrindle-q-a-with-the-new-york-times/?utm_source=chatgpt.com (abgerufen am 9.11.2026).
3. **Vester, F.** – Denken, Lernen, Vergessen. Deutscher Taschenbuch Verlag GmbH& Co. KG, München: 23. neu überarbeitete Auflage. 1996. 250 Seiten.

მაგალითების წყარო:

4. **Dieses lustige Studentenleben** https://www.youtube.com/watch?v=iQxJ911l2bM&t=16s (abgerufen am 9.11.2026).
5. **Eine Liebe in Kuba** (2026, 00:19-00.24). https://www.youtube.com/watch?v=8UcEAS51mso (abgerufen am 9.11.2026).
6. **Knallerfrauen mit Martina Hill. Alle sind eingeladen.** https://www.google.com/search?q=Knallerfrauen+mit+Martina+Hill.+(n.d.)+Alle+sind+eingeladen.&oq=Knallerfrauen+mit+Martina+Hill.+(n.d.)+Alle+sind+eingeladen.&gs_lcrp=EgZjaHJvbWUyBggAEEUYOTIHCAEQABjvBTIHCAIQABjvBTIHCAMQABjvBTIHCAQQABjvBTIHCAUQABjvBdIBBzgwOWowajeoAgCwAgA&sourceid=chrome&source=chrome.ob&ie=UTF-8#fpstate=ive&vld=cid:2dfe6654,vid:hs3IMwcN384,st:0 (abgerufen am 9.11.2026).
7. **Knallerfrauen mit Martina Hill. Und wieso?** Die 3. Staffel. https://www.google.com/search?q=7.+Knallerfrauen+mit+Martina+Hill.+Und+wieso%3F+Die+3.+Staffel.&oq=7.%09Knallerfrauen+mit+Martina+Hill.+Und+wieso%3F++Die+3.+Staffel.&gs_lcrp=EgZjaHJvbWUyBggAEEUYOTIHCAEQIRiPAjIHCAIQIRiPAtIBBzgyMGowajeoAgCwAgA&sourceid=chrome&source=chrome.ob&ie=UTF-8#fpstate=ive&vld=cid:f02779f2,vid:cRy51X2miig,st:0 (abgerufen am 9.11.2026).
8. **Kommissar Rex. Stadt in Angst.** (n.d., 00:30–00:35). https://www.youtube.com/watch?v=YhorgjqtlIM (abgerufen am 9.11.2026).
9. **Menschen vs. Technik** https://www.youtube.com/watch?v=qWAD1FWARGY&t=19s (abgerufen am 9.11.2026).
10. **Oh, diese launischen Frauen** https://www.youtube.com/watch?v=o4oTLP0tRQk&t=6s (abgerufen am 9.11.2026).
11. **Oh, diese Männer** https://www.youtube.com/watch?v=dOOfWt6BaMA&t=9s (abgerufen am 9.11.2026).

Nino Sharashenidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: ninisharashenidze@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.27
SJIF 2026: 8.679

Integrating Audiovisual Texts into the Process of Teaching German (A Linguodidactic Perspective)

Abstract

The ultimate goal of foreign language learning is to achieve fluent communication. In this respect, the use of video-based exercises is particularly effective, as it enables us to activate different channels of information perception, namely auditory, visual and kinesthetic channels.

In dialogue, gestures and facial expressions are quite often just as important as the verbally expressed message. Furthermore, the visual dimension of a video sequence plays a significant role in the structural organization of a foreign language lesson or lecture, making the learning process considerably more effective and engaging. This is particularly relevant to members of Generations Z and Alpha, whose personal development is closely linked to the technological advances of recent years.

The integration of video-based exercises into the process of teaching German is important because they are not merely illustrative aids but powerful didactic resources that facilitate the comprehensive development of the linguistic, sociocultural and strategic components of communicative competence.

From the perspective of foreign language teaching methodology, the use of video-based exercises is particularly valuable because listening activities help students become familiar with the pace of German speech, its characteristic intonation, pronunciation and various features of spoken language. Video-based exercises demonstrate which vocabulary items, conventional German expressions, modal particles and other linguistic elements are commonly used in situations such as making acquaintances, at work, in shops, when making requests or expressing personal opinions. New lexical items should not be acquired in isolation but rather within specific situational contexts, which is essential for achieving an advanced level of foreign language proficiency.

The article presents practical examples of exercises that contribute to an engaging and effective learning process, as well as video clips created by the students themselves in German.

Keywords: Audiovisual Texts, Teaching German, (A Linguodidactic Perspective)

რეცენზენტი: პროფესორი სოფიო მუჯირი